**ლიბერთი**
ბანკი ყველგან და ყველასთვის

06055/ 022000777

თარიღი: 28-01-2020

ქ. თბილისი, საქართველო

# ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია #SH2684/20

**გარანტი:** სს "ლიბერთი ბანკი"
**გარანტის იურიდიული მისამართი:** ქ. თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის გამზირი #74
**გარანტის საიდენტიფიკაციო ნომერი:** 203828304
**პრინციპალი:** შპს აბასთუმნის ფილტვის ცენტრი
**პრინციპალის იურიდიული მისამართი:** საქართველო, ადიგენის რაიონი, სოფელი აბასთუმანი
**პრინციპალის საიდენტიფიკაციო ნომერი:** 222717246
**ბენეფიციარი:** სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
**ბენეფიციარის იურიდიული მისამართი:** საქართველო, აკაკი წერეთლის გამზირი 144
**ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო ნომერი:** 202178927
**საგარანტიო თანხა:** 27,852 (ოცდაშვიდი ათას რვაასორმოცდათორმეტი) ლარი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პრინციპალმა იკისრა ვალდებულება საბანკო გარანტიის წარდგენაზე მასსა და ბენეფიციარს შორის, „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცებული „რეფერალური მომსახურების" (დანართი N18) სახელმწიფო პროგრამის მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ფილტვის ქრონიკული დაავადებების რეაბილიტაციის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით 2020 წლის 27 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება N27030308/20-1 შესაბამისად, რათა ასეთი გარანტიის საფუძველზე განხორციელდეს აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა ამავე გარანტიით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში. ამგვარად, გარანტი აცხადებს თანხმობას პრინციპალის სახელზე ამ გარანტიის გაცემაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ პრინციპალი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების თანახმად ნაკისრ ვალდებულებებს, სს "ლიბერთი ბანკი" კისრულობს უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას, ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადაუხადოს ბენეფიციარს ნებისმიერი თანხა ან თანხები მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული საგარანტიო თანხისა.

ბენეფიციარის მოთხოვნა ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები და განმარტებული პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების კონკრეტულად რომელი პირობა(ები) იქნა დარღვეული პრინციპალის მიერ (დამატებითი მტკიცებულებების და/ან დოკუმენტების წარმოდგენის საჭიროების გარეშე).
მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს:

- წინამდებარე საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე საბანკო გარანტია მოქმედებს 2021 წლის 10 მარტის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე სს "ლიბერთი ბანკი"-ს სათავო ოფისში, თბილისის დროით 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის გამზირი #74.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი ფორმით უარის თქმით;
- გარანტის მიერ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ბენეფიციარისათვის სრულად გადახდით,

გარანტის მიმართ წინამდებარე საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

ბენეფიციარს მხრიდან გარანტის მიმართ ნებისმიერ წერილობით კომუნიკაციას ხელს უნდა აწერდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ი, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (გარანტი უფლებამოსილია არ მოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტი, თუ ხელმომწერი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია).

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დავით ვერულაშვილი
დირექტორი

მამუკა კვარაცხელია
რისკების დირექტორი

126022